ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8030863

ნომერი: AR11154318

თარიღი : 27.07.2026

გაცემის თარიღი : 04.08.2026

გაცნობის თარიღი : 07.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაიონი სამგორი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მერაბიშვილი პ/ნ 13001007824
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 27 ივლისის №AR11154318 განცხადებით მომართა გიორგი მერაბიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 8

ოქტომბრის №7243614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებით, სამსახურის 2021 წლის 27 აგვისტოს №5569045 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2027 წლის 8 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2027 წლის 8 ივნისის ჩათვლით“-ს ნაცვლად დაფიქსირებულია „2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2017 წლის 8 ივნისის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2024 წლის 3 ოქტომბრის №AR11060327 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 32 (ოცდათორმეტი) თვეზე. შესაბამისად, სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2027 წლის 8 ივნისის ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 2027 წლის 8 ივნისის ჩათვლით.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7243614 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.